საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 125 2016 წლის 17 მარტი ქ. თბილისი

„სამხედრო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ნოემბრის №615 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამხედრო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ნოემბრის №615 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/11/2014, 120050000.10.003.018235) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** ამ დადგენილების ამოქმედებიდან ერთ თვეში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა უზრუნველყოს შემდეგი ბრძანებების გამოცემა:

ა) სამხედრო სადისციპლინო წესდებით გათვალისწინებული ოქმებისა და დისციპლინური საქმისწარმოებისათვის სხვა საჭირო დოკუმენტების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილების (ჰაუპტვახტის) ფუნქციონირების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.“.

2. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3[1] მუხლი:

„**მუხლი 3[1].** სამხედრო სადისციპლინო წესდება ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდებით გათვალისწინებული წესით.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული წესდების:

ა) მე-4 მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) სამხედრო მოსამსახურე - საქართველოს მოქალაქე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე („სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილ შემთხვევაში), რომელიც სამხედრო სამსახურს გადის სამხედრო უწყებებში, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვეული პირი სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლისას;“;

გ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) 43-ე მუხლის შენიშვნა ამოღებულ იქნეს;

ე) 221-ე მუხლის შენიშვნის პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) 269-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამთავრობო დაწესებულების სამანდატო კომისიები იქმნება შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“;

ზ) 279-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ღირსეული საქციელის ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, შედგება ოქმი საამისოდ უფლებამოსილი მეთაურის (უფროსის) მიერ.“;

თ) 321-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 321. დადგენილება, წახალისების სახის შეფარდების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ, აღსრულდება საამისოდ უფლებამოსილი ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**